საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

თბილისი
1980

ოქტომბერი №10 ОКТЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 4770

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

## 1980 წლის 23 აპრილის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 326

## სახალხო კონტროლის თაობაზე კანონის განხორციელების

## შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ“ კანონის გატარების ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ კანონის გატარების ღონისძიებათა განუხრელად განხორციელება; მიაღწიონ სახალხო კონტროლის წევრთა ქმედით საქმიანობას, კონტროლის ჯგუფის წევრებს გაუწიონ სათანადო დახმარება და შეუქმნან მუშაობისათვის საჭირო პირობები. შემოწმების პროცესში გამოუყონ სამუშაო ოთახები, შეუფერხებლად მიაწოდონ მასალები; პრინციპულად განიხილონ სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრთა წინადადებები და რეკომენდაციები; დამნაშავეებზე პასუხისმგებლობის დაწესებით აღმოფხვრან მხილებული ნაკლოვანებები და დარღვევები;

სახალხო კონტროლის წევრთა აქტიურობის ამაღლების მიზნით გამოიყენონ კანონმდებლობის 30-ე მუხლი — საუკეთესო კონტროლის წევრთა მორალური და მატერიალური წახალისების შესახებ;

მკაცრად დაიცვან კანონმდებლობის 29-ე მუხლი — არ დაუშვან სახალხო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელთა სამსახურიდან დათხოვნა ან მცირეხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა, სახალხო კონტროლის შესაბამის კომიტეტთან შეთანხმების გარეშე;



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „სახალხო განათლების“, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ სახალხო კონტროლის ჯგუფების და საგუშაგოების საქმიანობა. პროპაგანდა გაუწიონ სახალხო კონტროლიორთა დადებით გამოცდილებას, რომლებიც ღირსეულად ასრულებენ საზოგადოებრივ დავალებებს.

მინისტრის მოადგილე ზ. ლომიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 24 აპრილის

## დადგენილება

**რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების სემესტრულ სწავლებაზე გადასვლის შესახებ**

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ ორგანიზების მიზნით

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სკოლა-ინტერნატები I-დან X კლასის ჩათვლით, 1980—1981 სასწავლო წლის 1 სექტემბრიდან გადაყვანილ იქნენ სემესტრულ სწავლებაზე;

— სასწავლო წლის პირველი სემესტრი დაიწყოს 1980 წლის 1 სექტემბერს და დამთავრდეს 29 დეკემბერს. მეორე სემესტრი დაიწყოს 1981 წლის 12 იანვარს და დამთავრდეს მაისში;

— სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარდეს არდადეგები: საშემოდგომო — ხუთი, ზამთრის — თორმეტი და საგაზაფხულო — რვა დღის ხანგრძლივობით.

2. დამტკიცდეს რესპუბლიკის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო გეგმები 1980—1981 სასწავლო წლისათვის.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

დროული ორგანიზაციული ღონისძიებები განახორციელონ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში სემესტრულ სწავლებაზე შეუფერხებლად გადასვლისათვის.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტი-

ტუტთან ერთად შეიმუშაოს და ადგილობრივ სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლებს დაუგზავნოს მეთოდური თუ ორგანიზაციული ხასიათის მითითებები, რეკომენდაციები, მანვე დააწესოს კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე.

5. გადაწყვეტილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების სემესტრულ სწავლებაზე გადასვლის შესახებ" გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში", დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეკომენდაციები

## სემესტრული სწავლების პირობებში სასწავლო პროცესის ორგანიზების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სკოლა-ინტერნატები ახალი, 1980—1981, სასწავლო წლიდან გადაყვანილ იქნა სწავლების სემესტრულ სისტემაზე.

სემესტრულ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ ,ისე როგორც მანამდე, გაკვეთილი რჩება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმად.

სემესტრულ სწავლებაზე გადასვლა მასწავლებელს საშუალებას აძლევს შემოქმედებითად წარმართოს გაკვეთილი, უფრო ეფექტურად გამოიყენოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ისეთი მრავალფეროვანი ფორმები, ხერხები და საშუალებები, როგორიცაა: კომბინირებული გაკვეთილი, სასკოლო ლექცია, საუბარი, კითხვა-პასუხის მეთოდი, განვლილი მასალის შეჯამება და სხვა. გარდა ამისა, მასწავლებელს მეტი საშუალება ეძლევა ღრმად და დეტალურად შეისწავლოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მასზე დაყრდნობით გამონახოს მოზარდთან მუშაობის, მისი ცოდნის შეფასებისა და უნარ-ჩვევების ფორმირების ეფექტიანი, ოპტიმალური ვარიანტები, პრაქტიკულად განახორციელოს საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ძირითადი ამოცანა — თითოეულ მოსწავლეს ვასწავლოთ სწავლა, ცხოვრება და შრომა კომუნისტურად.

სემესტრულ სწავლებაზე გადასვლა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფართო გზას უხსნის განმავითარებელ სწავლებას, როცა თითოეულ პედაგოგს მოეთხოვება არა მხოლოდ თეორიული მასალის გადაცემა, არამედ მოსწავლეებში მიღებული ინფორმაციის მრავალმხრივი ოპერირების, ახალ კანონზომიერებათა დამოუკიდებლად ძიებისა და აღმოჩენის უნარის გამომუშავება. უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება გაკვეთილის ხარისხისა და ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, სასწავლო პროცესის პრაქტიკული მხარის წამოწევისათვის: გაკვეთილებზე მეტი დრო დაეთმობა საცდელ,

პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოებს; თითოეული მასწავლებლის მუშაობა ისე დაიგეგმება, რომ ყოველი ცალკეული თემის გავლის შემდეგ მოხდეს მიღებული ცოდნის შეჯამება და განმტკიცება; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა განმეორებას სასწავლო წლის პირველი და მეორე ნახევრის ბოლოს.

სწავლების მეოთხედური სისტემიდან სემესტრულზე გადასვლა განტვირთავს საგნის მასწავლებლებსა და ხელმძღვანელებს ნოემბრის, იანვრის, მარტის არდადეგების დროს ზედმეტი შრომისაგან, რაც ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული ამ პერიოდში სექციური, საგნობრივი და კლასის ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანებების სხდომების მომზადებისა და მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარებისათვის, ყველა იმ ღონისძიების განხორციელებისათვის, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური და თეორიული ცოდნის დონის ამაღლებას. ამასთან, მასწავლებელს საშუალება მიეცემა გამომდინარე შესასწავლი თემის სირთულიდან და კლასის თავისებურებებიდან საკუთარი შეხედულებით განსაზღვროს თემის ათვისებისათვის საჭირო საათების რაოდენობა მოცემული სასწავლო პროგრამების ფარგლებში.

ოთხი მეოთხედის სასწავლო წლის ორი ნახევრით შეცვლის შედეგად გამოწვეულ ნაწილობრივ ორგანიზაციულ ცვლილებებთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ სემესტრის განმავლობაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა კლასსა და ყველა საგანში საკონტროლო და საკლასო წერების, პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოებისა და სხვ. რაოდენობა გაიზრდება პროპორციულად — იმავე ოდენობით, რაც გათვალისწინებული იყო ერთად, ორი შესაბამისი მეოთხედის მანძილზე. იმისათვის, რომ გამოირიცხოს შემთხვევითობა სემესტრული ნიშნის გამოყვანაში, თითოეული მოსწავლისათვის სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს მონაწილეობა საკონტროლო წერების აბსოლუტურ უმრავლესობაში. ამასთან, შეფასებისას მხედველობაში იქნება მიღებული მხოლოდ ერთი გაცდენა და ისიც საპატიო მიზეზით, შესაბამისად გაიზრდება მოსწავლეთა მიმდინარე ზეპირი შეფასების რაოდენობა, რის საფუძველზეც გამოყვანილ იქნება ნახევარწლიური ნიშნები.

იმ საგნებში, რომლებშიც სასწავლო გეგმით კვირაში 1—2 საა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თია გათვალისწინებული, მოსწავლე ზეპირი გამოკითხვის საფუძველზე სემესტრის განმავლობაში უნდა შეფასდეს არანაკლებ 3—5-ჯერ, ხოლო იმ საგნებში, რომელთაც სასწავლო გეგმით კვირაში 3 და მეტი საათი ეთმობათ — არანაკლებ 6—9-ჯერ.

სემესტრული ნიშანი უნდა გამოყვანილ იქნეს საკლასო ჟურნალში ჩაწერილი ზეპირი, წერითი და პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების დროს მიღებული ნიშნების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე, მოსწავლეთა ფაქტიური ცოდნის მიხედვით, მასწავლებელთა პირადი პასუხისმგებლობით. ამასთან, ნახევარზე მეტი ქულა ჩაითვლება მთელად (მოსწავლის სასარგებლოდ), ნახევარი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოლო ნიშანი ამაღალია.

სემესტრულ სწავლებაზე გადასვლის ერთ-ერთი უპირატესობა მეოთხედურ სწავლებასთან განსხვავებით ისიც არის, რომ იგი ხელსაყრელ პირობებს ქმნის პედაგოგიური საბჭოების მუშაობაში არსებული ფორმალიზმის აღმოსაფხვრელად, ზრდის პედაგოგიური საბჭოს, როგორც პედაგოგიური კოლექტივის ძირითადი წარმმართველი ძალის, როლს, ხელს უწყობს პედაგოგიური საბჭოების მუშაობის შემოქმედებითად დაგეგმვას, საკითხების საფუძვლიანად მომზადებასა და ჩატარებას.

სემესტრის განმავლობაში პედაგოგიური საბჭოს სხდომები უნდა ჩატარდეს ორჯერ, საჭიროების შემთხვევაში — რიგგარეშე, ამასთან, სემესტრის განმავლობაში ჩატარებულ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე ერთ-ერთ საკითხად მიზანშეწონილია განხილულ იქნეს მოსწავლეთა მიმდინარე აკადემიური წარმატების მდგომარეობა და განხილვის შედეგები, საჭიროების შემთხვევაში, ოფიციალურად ეცნობოთ მშობლებს.

ამასთან, მაისსა და ივნისში, ინსტრუქციის საფუძველზე, პედსაბჭოს სხდომაზე განიხილება მოსწავლეთა გამოცდებზე დაშვების, გამოცდების შედეგებისა და კლასიდან კლასში გადაყვანის საკითხები, რომელიც შედის პედაგოგიური საბჭოს მუშაობის მეორე სემესტრის სამუშაო გეგმაში.

სკოლის, მისი პედაგოგიური კოლექტივის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა თითოეულ მოსწავლეს, მშობელს გააცნოს სემესტრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლების შინაარსი, მისი როლი და მნიშვნელობა. მათ უნდა იცოდნენ, რომ მოსწავლის სემესტრული, წლიური და საბოლოო შეფასება მოხდება ცოდნის გაზრდილი ყოველდღიური, მიმდინარე შეფასების საფუძველზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე სემესტრის განმავლობაში გავა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მას გამოეყვანება მეოთხედური ნიშნები მიმდინარეს საფუძველზე, ადრე არსებული წესების შესაბამისად და პირად საქმესთან ერთად მიეცემა სათანადოდ დამოწმებული ნიშნების ფურცელი.

სკოლების სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 24 აპრილის

# გადაწყვეტილება

**რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 26 აპრილის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლებს რიგი საგნების, განსაკუთრებით ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლების საქმეში.

უკანასკნელ ხანებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გარკვეული მუშაობა ჩაატარა ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლების გასაუმჯობესებლად. სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, ქართული და რუსული სკოლების ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის საგამოცდო ბილეთებში თითო საკითხი შევიდა საქართველოს ისტორიიდან, დამუშავდა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დაეგზავნა მეთოდური რეკომენდაციები სკკპ XXV ყრილობის მასალების, სსრკ კონსტიტუციის, ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა ტრილოგიის — „მცირე მიწის“, „აღორძინებისა“ და „ყამირის“ სწავლების საკითხებზე.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებლებით სკოლების უზრუნველყოფის საქმეში. დღეისათვის აღნიშნულ საგნებს ასწავლის 5711 მასწავლებელი, რომელთაგან 5278-ს (92,5%) უმაღლესი სპეციალური განათლება აქვს.

ბოლო ხუთწლედში დახელოვნების კურსები გაიარა 2878-მა მასწავლებელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული მუშაობა ჩატარდა ატესტაციის ხაზითაც, რის შედეგადაც 15 მასწავლებელს მიენიჭა „მასწავლებელ მეთოდისტისა" და „უფროსი მასწავლებლის" წოდება. 590-ს მიენიჭა წახალისება, ხოლო 106 მასწავლებელი განთავისუფლდა სამუშაოდან შეუფერებლობის გამო.

გატარებული ღონისძიებების შედეგად რესპუბლიკის ბევრ სკოლაში ამაღლდა გაკვეთილების იდეურ-თეორიული დონე, გაუმჯობესდა სწავლების მეთოდები, გაიზარდა მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტივობა, გაუმჯობესდა პროგრამული მასალის ათვისების ხარისხი, იმატა მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ხვედრითმა წონამ, განმტკიცდა ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების კავშირი სხვა საგნებთან.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გატარდა ისტორიის სასწავლო კაბინეტების ქსელის გაფართოებისა და თვალსაჩინოებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით მათი სათანადოდ აღჭურვისათვის. ამაღლდა საგნის მასწავლებელთა თეორიული მომზადება და პედაგოგიური ოსტატობა.

ამასთან, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლების დონე და ხარისხი ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლებად ზრუნავს თავისი იდეურ-პოლიტიკური, თეორიული და მეთოდური ცოდნის ამაღლებაზე, არ ცდილობს მხარი აუბას სიახლეებს სწავლებაში , გულგრილად ეკიდება გაკვეთილებზე თვალსაჩინოების, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას, ნაკლებ ყურადღებას აქცევს სწავლების პროცესში აღმზრდელობითი მომენტების წინ წამოწევას, ეფექტიანად არ იყენებს კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებათა ფართო შესაძლებლობებს.

ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი სათანადოდ ვერ წვდება დროის მოთხოვნებისა და სადირექტივო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანოების მითითებათა არსს იმის შესახებ, რომ სასწავლო კაბინეტების შექმნა, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლა თვითმიზანი კი არ არის, არამედ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობის ამაღლების პირობაა. სკოლების ხელმძღვანელები ამ მხრივ სათანადოდ ვერ იყენებენ განათლების სამინისტროს მითითებებს, მეთოდურ რეკომენდაციებს, „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხას", რომელიც მომზადდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ" საფუძველზე და სხვა.

ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის სასწავლო კაბინეტები არ არის შექმნილი თბილისის 43-ე, გორის მე-2, მე-7, მე-9, აბაშის რაიონის ექვს საშუალო სკოლაში, ძალზე სუსტია ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების ბაზა გურჯაანის რაიონის სკოლებში.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ ცდილობს მხარი აუბას სიახლეს სწავლებაში, მიჰყვება რა ერთხელ გატკეპნილ გზას, შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენს თვალსაჩინოებისა და სწავლების ტექნიკური საშუალებებისადმი. არ ესმის სინქრონულობის არსი — VIII, IX და X კლასებში გაერთიანებულად ატარებს სსრკ ისტორიისა და საქართველოს ისტორიის გაკვეთილებს, სათანადოდ ვერ იყენებს სახელმძღვანელოების მეთოდურ აპარატს: დოკუმენტებს, მოსწავლეთათვის გათვალისწინებულ კითხვებსა და დავალებებს, ილუსტრაციებს, სათანადო ყურადღებას არ უთმობს წიგნზე მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების განმტკიცებას. ზოგი მასწავლებელი იქამდეც კი მიდის, რომ გაკვეთილებს ისტორიაში რუქის გარეშე ატარებს.

სერიოზული ნაკლოვანებებია საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლებაში. რიგ სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდას, არ არის ჩამოყალიბებული სამართალმცოდნეობის წრეები. არც მომიჯნავე საგნობრივი წრეების სამუშაო გეგმებშია გათვალისწინებული საკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხები სამართალმცოდნეობიდან. თბილისის 29-ე, 31-ე, 102-ე, 106-ე, 147-ე, რუსთავის მე-3, მე-20 და სხვა სკოლებში დღემდე არ განუხილავთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1979 წლის 18 აპრილის ბრძანებულება „არასრულწლოვანთა მიერ ავტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ", საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიების 1978 წლის 21 მარტის № 2—7/4 დადგენილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

თბილისის 31-ე, მე-100, 102-ე, 147-ე, გორის მე-13, აბაშის 1-ლი, მე-2, რუსთავის მე-3 და სხვა სკოლებში პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ განუხილავთ მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის საკითხები. არ აქვთ მოწყობილი სამართლებრივი აღზრდის კუთხეები, სათანადოდ ვერ იყენებენ ნორჩ ძერჟინსკელთა რაზმის შესაძლებლობებს მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდაში. რიგ სკოლებში სულ არაა ან ძალზე მცირე რაოდენობით ტარდება იურიდიული კონსულტაციები (თბილისის 29-ე, 31-ე, 37-ე, მე-100, 102-ე, 147-ე, 160-ე, რუსთავის მე-3, მე-20 სკოლები).

რიგ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას მეთოდური მუშაობა. არ ტარდება ან ფორმალური ხასიათს ატარებს მეთოდური გაერთიანებების სხდომები; დამუშავებული მოხსენებები ზოგადი და არაფრისმთქმელია. იშვიათად ხდება სწავლების ეფექტიანობის ამაღლების, განმავითარებელი სწავლების, ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების აღმზრდელობითი ფუნქციების გაძლიერების, სასწავლო კაბინეტების მოწყობისა და გამოყენების პრობლემების განხილვა (გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის, გორის მე-9, მე-13, აბაშის მე-2 საშუალო სკოლები).

ზოგი სკოლის დირექტორი სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას ვერ უწევს მასწავლებლებს, გაკვეთილებს ესწრება ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით, ანალიზები სუსტია მეცნიერული და მეთოდური თვალსაზრისით, არ ხდება ადრე მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება. ზერელე და არაფრისმთქმელია სკოლის დირექტორების: ა. დვალიშვილის, ვ. სოლომნიშვილის, ზ. მთიულიშვილის (გურჯაანის რაიონის შაშიანის, ვაზისუბნისა და ბაკურციხის სოფლების სკოლები), ა. თოფურიას (აბაშის მე-2 სკოლა) მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები.

ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობას, საქართველოს ისტორიას, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებს არადამაკმაყოფილებლად აწავლიან: ქ. დუნდუა, ლ. კოხრეიძე, ნ. ჯოჯუა, ი. ქოიავა, ი. მიქაძე (აბაშის რაიონის სოფელ მარნის საშუალო, რუსულ-ქართული რვაწლიანი, მე-2 საშუალო სკოლა), თ. ოსეფაშვილი, ვ. ცოტნიაშვილი, გ. ლომიტაშვილი, ნ. დარსაველიძე, ლ. გალუსტოვა, ჯ. სვიანაძე (ქ. გორის 1-ლი, მე-7, მე-9, მე-13 საშუალო სკოლები), გ. მარტაშვილი, თ. ბიწკინაშვილი, გ. მატარაშვილი, ქ. ბეროშვილი, ს. წოწოლაშვილი (გურჯაანის 1-ლი, სოფლების შაშიანის, ველისციხის, გურჯაანის, ბაკურციხის საშუალო სკოლები), ა. ლომიძე, ნ. კვაჭაძე, გ. გელიაშვილი, ლ. მარტიროსოვა, ა. საროშვილი, ბ. კობერიძე (ქ. თბილისის 47-ე, 29-ე, 31-ე, 37-ე, 102-ე, 147-ე საშუალო სკოლები).

ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებებს, ზემოაღნიშნულის გარდა, ისიც განაპირობებს, რომ დღეისათვის ჯერ კიდევ დაბალია უნიფიცირებული სასკოლო სახელმძღვანელოების თარგმნის დონე, სრულყოფას საჭიროებს საქართველოს ისტორიის სასწავლო პროგრამა და სახელმძღვანელო, საკითხავი წიგნი მეოთხეკლასელთათვის „ჩვენი სამშობლო“. სკოლები ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი საქართველოს ისტორიის რუქებით, ატლასებით, სასწავლო ხასიათის მხატვრული ალბომებითა და სხვა სახის მასალებით. სახალხო განათლების განყოფილებები, მათი მეთოდური კაბინეტები, სკოლების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადო შეფასებას არ აძლევენ ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების მნიშვნელობას მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებლებმა:

2. 1. სწავლება წარმართონ იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ და 1979 წლის 26 აპრილის დადგენილებით „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, არსებითად აამაღლონ აღნიშნული საგნების სწავლების იდეურ-თეორიული დონე ,ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაანალიზების, განზოგადების, დასაბუთებისა და დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

2. 2. გააქტიურონ დასახელებული საგნების აღმზრდელობითი ფუნქცია, ბუნებრივად, მიზანსწრაფულად გამოიყენონ ფაქტობრივი მასალა მოსწავლეებში კომუნისტური რწმენის ჩამოსაყალიბებლად.

2. 3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგანთა შორის კავშირის განმტკიცებას, ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლებაში მონათესავე დისციპლინების ეფექტიანად გამოყენების საქმეს.

3. სკოლის ხელმძღვანელებმა:

3. 1. გააძლიერონ ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებლებისადმი მეთოდური დახმარება. ეფექტიანი გახადონ მეთოდური გაერთიანებების საქმიანობა, სისტემატურად იზრუნონ მასწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელთა იდეურ-პოლიტიკური, მეცნიერული და პედაგოგიური დახე-ლოვნების დონის ამაღლებისათვის.

3. 2. მიიღონ ზომები სასწავლო კაბინეტების შესაქმნელად, აღჭურვონ ისინი სათანადო თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ხელი შეუწყონ მოსწავლეების მიერ თვითნაკეთი თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალების დამზადებასა და სწავლების პროცესში მათ აქტიურად გამოყენებას.

3. 3. იზრუნონ აღნიშნული საგნის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. დააკომპლექტონ სკოლები მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

4. 1. ქმედითი დახმარება გაუწიონ ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებლებს (საქალაქო) მეთოდგაერთიანებების მუშაობის ორგანიზებისა და სრულყოფის საქმეში, გამოავლინონ საუკეთესო მასწავლებლები და განაზოგადონ მათი მუშაობის გამოცდილება.

4. 2. მასწავლებლებისადმი მეთოდური დახმარების მიზნით შეარჩიონ რაიონში (ქალაქში) საყრდენი სკოლები, დააკომპლექტონ ისინი მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, აღჭურვონ ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის კაბინეტები სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით, რათა ეს სკოლები გადაიქცეს ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა მუშაობის ცენტრად.

4. 3. სახალხო განათლების განყოფილებაში, მეთოდურ კაბინეტში სწორად შეარჩიონ სპეციალისტები, რომლებიც უხელმძღვანელებენ ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლებას, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეს, სკოლის ორგანიზატორის მუშაობას.

4. 4. ქმედითი დახმარება გაუწიონ სკოლის დირექტორებს ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და



კ. მარქსის სახ. სახ. სსრ ბიბლიოთეკა

f-4770

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლის საფუძვლების მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების შერჩევის საქმეში;

4. 5. სათანადო ღონისძიებანი გაატარონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლებისათვის სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნის უზრუნველსაყოფად. სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ საკითხი გურჯაანის რაიონის სოფლების ვაზისუბნის, შაშიანის, ველისციხის, აბაშის მე-2, გორის მე-2, მე-8, მე-9 მე-13 საშუალო სკოლებში ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლებაში არსებული ნაკლოვანებებისა და მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში სკოლის ხელმძღვანელთა არასათანადო მუშაობის შესახებ.

5. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, ა. გოგელია).

5. 1. სისტემატურად გააშუქონ გაზეთსა და ჟურნალის საგნობრივ დამატებაში „ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობა და გეოგრაფია სკოლაში“ ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლების აქტუალური საკითხები.

6. გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“, დაიბეჭდოს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

7. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებანი

| №№ | ღონისძიებანი | პასუხისმგებელი შესრულებაზე | შესრულების ვადა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1. | ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების მიზნით სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის შემოწმება | სკოლების სამმართველო. | 1980—1985 წლები |
| 2. | სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების, მეთოდკაბინეტების გამგეების, მეთოდისტების ანგარიშის მოსმენა ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, სამართალმცოდნეობის სწავლების გაუმჯობესების საკითხებზე | სკოლების სამმართველო | კვარტალში ერთხელ |
| 3. | ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებელთა გამოცდილების შესწავლა-განზოგადება | სკოლების სამმართველო, სასკოლო მეთოდური ცენტრი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრლური ინსტიტუტი, გაზეთი „სახალხო განათლება“, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ | სისტემატურად |
| 4. | სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების მიზნით: | | |

| I | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| ი. | ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის სასწავლო კაბინეტების მოწყობის შესახებ მეთოდიკური რეკომენდაციების შემუშავება | სკოლების სამმართველო, სასკოლო მეთოდური ცენტრი, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი | 1981—1983 წლები |
| ბ. | ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო მასალების მომზადება-გამოცემა | სკოლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი | 1980—1985 წლები |
| | ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, სამართალმცოდნეობის მასწავლებელთა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გაუმჯობესების ღონისძიებანი: | კადრების სამმართველო, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შესაბამის სამმართველოსთან ერთად | 1980—1981 წლები |
| 1. | დახელოვნების კურსებზე ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, სამართალმცოდნეობის მასწავლებელთა მისაღები კონტინგენტის გაზრდა | კადრების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი | |
| 2. | გადასამზადებელ კურსებზე ლექტორთა ანკეტური მონაცემების წარდგენა განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად | მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი | სისტემატურად |
| 3. | რესპუბლიკის რაიონებში (ქალაქებში) ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლების საყრდენი სკოლების ქსელის შექმნა | სკოლების სამმართველო, სახალხო განათლების განყოფილებები | 1980—1981 წლები |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| | სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების სრულყოფის **ღონისძიებანი:** | | |
| 1. | IV—X კლასების საქართველოს ისტორიის პროგრამების გადამუშავება-სრულყოფა | სკოლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტთან ერთად | 1980—1981 წლები |
| 2. | საქართველოს ისტორიის ახალი დამხმარე საკითხავი წიგნების მომზადება | | ” |
| 3. | საქართველოს ისტორიის მოქმედი სახელმძღვანელოს (ავტორები შ. მესხია, ვ. გეჩუა) მეთოდური აპარატისა და ილუსტრაციების სრულყოფა | სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო | 1981 წელი |
| 4. | თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალების, სქემების, ტაბულების, დიაფილმების, დიაგრამების, დიაპოზიტივების, სასწავლო ფილმების მომზადება საქართველოს ისტორიის კურსისათვის | სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო, სასწავლო-მეთოდური ცენტრი, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად | 1981 წელი |
| 5. | საქართველოს ისტორიის სასწავლო რუქების, ატლასების (სახელმძღვანელოს დანართების) მომზადება და გამოცემა | სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო, სასწავლო--მეთოდური ცენტრი, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტი, უმაღლესი სას- | 1981 წელი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| | | წავლებლების შესაბამისი კათედრები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან ერთად | |
| 6. | მოქმედი პროგრამების საფუძველზე საქართველოს ისტორიის ფაკულტატური კურსის პროგრამის მომზადება | სკოლების სამმართველო, სასკოლო-მეთოდური ცენტრი, ი. გოგებაშვილის სახ. პედგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი | 1981 წელი |
| 7. | მეთოდური რეკომენდაციების მომზადება წრეობრივი მუშაობისათვის საქართველოს ისტორიაში | | 1981 წელი |
| 8. | სსრ კავშირის ისტორიის ეპიზოდური მოთხრობების სახელმძღვანელოს თარგმნის ხარისხის შემოწმება და სათანადო წინადადებების შემუშავება | სკოლების სამმართველო, სასკოლო-მეთოდურ ცენტრთან, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად | 1980 წელი |
| 9. | სსრ კავშირისა და საქართველოს ისტორიის სინქრონული სწავლების შესახებ მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება (VIII—X კლ.) | სკოლების სამმართველო, სასკოლო-მეთოდურ ცენტრთან ერთად | 1980 წელი |
| 10. | სსრ კავშირის, ძველი მსოფლიოს, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის კურსებში გამოცემული უნიფიცირებული დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოების თარგმნა | სკოლების სამმართველო, სასწავლო მეთოდური ცენტრი, ი. გოგებაშვილის სახ. პედგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად | 1981—1982 წლები |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 11. | საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების კურსის დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოს თარგმნა | სკოლების სამმართველო, სასწავლო მეთოდური ცენტრი, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად | 1981—1982 წლები |
| 12 | საზოგადოებათმცოდნეობის კურსისათვის დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოს თარგმნა და გამოცემა | ” | ” |
| 13. | საქართველოს ისტორიის მხატვრული ალბომის მომზადება და გამოცემა | სკოლების სამმართველო, სასკოლო მეთოდური ცენტრი, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი | 1981—1985 წლები |
| 14 | საქართველოს ისტორიული ატლასის მომზადება და გამოცემა | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ

## КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

### О мероприятиях по улучшению состояния обучения истории, обществоведению и основам Советского государства и права в общеобразовательных школах республики

24 апреля 1980 года

Постановление ЦК КПСС от 26 апреля 1979 года «Об улучшении идейной и политико-воспитательной работы» ставит новые возросшие требования в обучении перед органами народного образования, школами в ряде предметов, особенно историей, обществоведением, основами Советского государства и права.

В последнее время Министерством просвещения Грузинской ССР была проведена определенная работа с целью улучшения обучения истории, обществоведению, истории Грузии, основам Советского государства и права.

Были переведены на армянский и азербайджанский языки учебники по истории Грузии, в экзаменационных билетах по истории, обществоведению были внесены по одному вопросу из курса истории Грузии. По вопросам обучения материалов XXV съезда КПСС, конституции СССР, трилогии воспоминаний Брежнева — «Малая земля», «Возрождение» и «Целина» в общеобразовательных школах были разработаны и разосланы методические рекомендации.

Значительный шаг сделан и в деле обеспечения школ учителями истории-обществоведения, основ советского государства и права. На сегодняшний день отмеченные предметы преподают 5711 педагогов из них 5278 (92,5%) имеют высшее специальное образование.

В последнюю пятилетку курсы усовершенствования прошли 2878 учителей.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Определенная работа была проведена и по линии аттестации, в результате которой 15 учителям было присвоено звание «учителя-методиста» и «старшего учителя», а 590 учителей получили поощрение, 106 учителей же были освобождены от занимаемой должности по несоответствии.

В результате проведенных мероприятий во многих школах республики повысился идейно-теоретический уровень, улучшились методы обучения, возросла творческая активность учеников, улучшилось качество усваиваемости программного материала, возрос удельный вес самостоятельной работы учеников, закрепилась связь предметов истории, обществоведения, истории Грузии, основ Советского государства и права с другими предметами.

Значительные мероприятия были проведены по расширению сети учебных кабинетов, по снабжению их наглядными пособиями и техническими средствами. Повысилась теоретическая подготовка и педагогическое мастерство учителей.

Но вместе со всем этим, уровень и качество обучения истории-обществоведения, истории Грузии, основам Советского государства и права в общеобразовательных школах республики пока еще неудовлетворительны.

Одна часть учителей в меньшей мере заботится о своем идейно-политическом развитии, повышении своих теоретических и методических знаний, не старается идти в ногу с новинками в обучении, с равнодушием относится к применению на уроках наглядных пособий, технических средств. В процессе обучения большое внимание не уделяется продвижению воспитательных моментов, не применяются эффективно возможности внешкольной и внеклассной работы.

Определенная часть преподавателей истории, обществоведения, основ советского государства и права должным образом не вникает в суть требований времени и указаний директивных органов о том, что создание учебных кабинетов, переход на кабинетную систему обучения является не само-

целью, а условием повышения эффективности учебно-воспитательного процесса. Руководители школ в этом отношении не применяют на должной высоте указания Министерства просвещения, его методические рекомендации, списки типовых учебно-наглядных пособий и учебных орудий для общеобразовательных школ, которые были подготовлены постановлениями ЦК КПСС и Советом Министров Грузинской ССР, на основании перехода молодежи на всеобщее среднее обучение и дальнейшее развитие общеобразовательных школ и др.

Не созданы кабинеты истории-обществоведения в Тбилисской 43-ей, Горийских 2-ой, 7-ой, 9-ой, Абашской 6-ой средних школах. Очень слаба база обучения в школах Гурджаанского района.

Одна часть учителей не старается идти в ногу с новинками обучения проявляет равнодушие к наглядным пособиям и техническим средствам обучения. Не понимает суть синхронизма — в VIII, IX и X классах объединенно проводит уроки истории СССР и истории Грузии, в совершенстве не использует методический аппарат учебника; документы, предусмотренные для учеников вопросы и задания, иллюстрации. Не обращает должного внимания на самостоятельную работу с книгой, закрепление навыков работы над книгой, некоторые же учителя доходят и до того, что уроки по истории проводят без карты.

Серьезные недостатки имеются в преподавании основ Советского государства и права.

В ряде школ мало внимания уделяется правовому воспитанию, не организованы кружки правоведения. Не предусмотрены вопросы правоведения и в планах родственных кружков.

В Тбилисских 29-ой, 31-ой, 102-ой, 106-ой, 147-ой, Руставских 3-ей, 20-ой и других средних школах до сегодняшнего дня не рассмотрены приказ Верховного Совета Грузинской

ССР от 18 апреля 1979 года «Об улисении ответственности правосудия над несовершеннолетними за похищение транспорта», приказ коллегий Министерств просвещения и Юстиции от 2 марта 1978 года № 2-7/4 «О мероприятиях по улучшению состояния обучения основам Советского государства и права в общеобразовательных школах республики».

В Тбилисских 31-ой, 100-ой, 102-ой, 147-ой, Горийской 13-ой, Абашских 1-ой, 2-ой, Руставской 3-ей и других средних школах на педагогических советах не были рассмотрены вопросы правового воспитания учеников. Не устроены уголки правового воспитания. Не используются полностью возможности отряда юных держинцев в правовом воспитании. В некоторых школах вообще не проводятся или, если проводятся, то редко, юридические консультации (Тбилисские 29-ая, 31-ая, 37-ая, 100-ая, 102-ая, 147-ая, 160-ая, Руставские 3-ая, 20-ая средние школы).

Не стоит на должной высоте и методическая работа в ряде школ. Деятельность методических объединений носит формальный характер, или вовсе не проводится. Разработанные доклады неконкретные. Редко рассматриваются вопросы повышения эффективности развивающегося обучения, усиления функции воспитания истории, обществоведения, основ Советского государства и права, проблемы оборудования и применения учебных кабинетов (Вазисубанская Гурджаанского района, Горийская 9-ая, 13-ая, Абашская 2-ая средние школы).

Некоторые директора школ не ведут на должной высоте контроль над учителями, формально присутствуют на уроках, с целью выполнения обязанности, слабы их анализы как с научной, так и методической стороны. Не производят проверку ранее данных рекомендаций. Неконкретны и неудовлетворительны анализы уроков прослушанных директорами: А. Двалишвили, Е. Соломнишвили, З. Мтиулишвили (Шашианская, Вазисубанская, Бакурцихская средние школы Гурд-

ეროვნული ბიბლიოთეკა

жаанского района), О. Топурия (Абашская 2-ая средняя школа).

Неудовлетворительно преподают историю-обществоведение, историю Грузии, основы Советского государства и права преподаватели: Ж. Дондуа, Л. Кохреидзе, Н. Джоджуа, И. Коиава, И. Микадзе (Маранская русско-грузинская 8-летняя школа Абашского района, 2-ая средняя школа Абаши), Т. Осепашвили, В. Цотниашвили, К. Ломиташвили, Н. Дарсавелидзе, Л. Галустова, Д. Свианадзе (Горийские 1-ая, 7-ая, 9-ая, 13-ая средние школы), Г. Марташвили, Т. Бицкинашвили, Г. Матарашвили, К. Берошвили, С. Цоцолашвили (Гурджаанская 1-ая, Шашианская, Велисцихская, села Гурджаани, Бакурцихская средние школы), А. Ломидзе, Н. Квачадзе, Г. Гелиашвили, Л. Мартиросова, А. Сарошвили, Б. Коберидзе (Тбилисские 47-ая, 29-ая, 31-ая, 37-ая, 102-ая, 147-ая средние школы).

Кроме вышеназванных причин существенным недостатком в преподавании истории-обществоведения, истории Грузии, основ Советского государства и права, является и то, что низок уровень перевода унифицированных учебников, требуют совершенства программа и учебник истории Грузии, книга для чтения четвертого класса «Наша Родина», школы не снабжены картами по истории Грузии, атласами, художественными альбомами обучающего характера и другими видами материалов. Отделения народного образования их методические кабинеты, руководители школ пока еще не дают соответствующую оценку в деле улучшения и повышения эффективности в обучении и воспитании учеников по предметам истории, обществоведения, истории Грузии, основ Советского государства и права.

Коллегия решила:

1. Утвердить план (прилагается) меропятий по улучшению преподавания истории — обществоведения, основ Советского государства и права.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. Преподавателям истории, обществоведения, основ Советского государства и права общеобразовательных школ:

2.1. вести обучение в соответствии с задачами, намеченными постановлением ЦК КПСС и Советом Министров Грузинской ССР от 22 декабря 1977 года «О дальнейшем совершенствовании обучения, воспитания учащихся общеобразовательных школ и подготовки их к труду». Существенно повысить идейно-теоретический уровень обучения названных предметов, принять меры по созданию соответствующих условий для творческого мышления учащихся, вырабатывать в учениках навыки самостоятельной работы над книгой, умения выносить анализы историческим фактам и событиям;

2.2. повысить активность воспитательной функции названных предметов, естественно, целеустремленно применять фактические материалы с целью формирования в учащихся коммунистической убежденности;

2.3. уделить особое внимание связи между предметами истории, обществоведения и основ Советского государства и права с родственными дисциплинами и их эффективное применение.

3. Руководителям школ:

3.1. усилить методическую помощь учителям истории, обществоведения и основ Советского государства и права. Работе методических объединений придать более эффективный и деловой характер. Систематически заботиться о повышении идейно-политического, научного и педагогического уровня учителей;

3.2. принять меры для создания учебных кабинетов, снабдить их соответствующим наглядно-дидактическим материалом, техническими средствами обучения, методической и научной литературой. Саздать условия для изготовления учащимися ручных самодельных наглядно-дидактических материалов с целью их применения в обучении;

3.3. заботиться о повышении квалификации учителей ука-

занных выше предметов, укомплектовать школы квалифицированными педагогами.

4. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской А/О, городов и районов:

4.1. оказать действенную помощь преподавателям истории-обществоведения, основ Советского государства и права в деле организации и совершенствования работы методобъединений, выявить наилучших учителей и передать другим их опыт работы;

4.2. с целью оказания помощи учителям отобрать в районе (городе) опорные школы, укомплектовать их высококвалифицированными кадрами педагогов, оборудовать кабинеты истории-обществоведения современными техническими средствами обучения и наглядно-дидактическим материалом, чтобы эти школы превратились в центры работы педагогов истории-обществоведения;

4.3. в отделах народного образования, методических кабинетах правильно отобрать специалистов, которые будут руководить делом идейно-политического воспитания учащихся, работой организаторов школ, преподавателей истории, обществоведения, Основ Советского государства и права;

4.4. оказать действенную помощь директорам школ в деле отбора квалифицированных учителей истории-обществоведения, основ Советского государства и права;

4.5. провести соответствующие мероприятия с целью обучения в общеобразовательных школах истории-обществоведения, основ Советского государства и права, создать учебно-материальную базу. На совещании Совета народного образования рассмотреть вопросы Вазисубанской, Шашианской, Велисцихской школ Гурджаанского района, Абашской 2-ой, Горийских 2-ой, 8-ой, 9-ой, 13-ой средних школ о не соответствующей работе руководителей этих школ и учителей

истории, обществоведения, основ Советского государства и права.

5. Редакциям газеты «Сахалхо ганатлеба» и журнала «Скола да Цховреба», (тов. Н. Швелидзе и тов. А. Гогелия):

5.1. систематически освещать в рубрике «История-обществоведение и география в школе» актуальные вопросы обучения истории, обществоведению и основам Советского государства и права.

6. Содержание настоящего решения опубликовать в газете «Сахалхо Ганатлеба», напечатать в сборнике приказов и инструкций Министерства просвещения Грузинской ССР.

7. Выполнение указанного решения поручить Управлению школ Министерства просвещения (тов. К. Суджашвили).

**Председатель коллегии**

**Министр** **О. КИНКЛАДЗЕ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## Мероприятия по улучшению обучения истории, обществоведению, Основам Советского государства и права в общеобразовательных школах республики

| № № п\|п | Мероприятия | Ответстветственный за выполнение | Сроки исполнения |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1. | Проверка работы общеобразовательных школ и органов народного образования с целью улучшения преподавания истории, обществоведения, основ Советского государства и права. | Управление школ | 1980—1985 годы |
| 2. | Прослушивание отчетов заведующих отделами народного образования, методкабинетами по вопросам улучшения преподавания истории, обществоведения, основ Советского государства и права. | Управление школ | В квартале один раз |
| 3. | Изучение и обобщение опыта учителей истории, обществоведения, основ Советского государства и права. | Управление школ, школьный методический центр, Институт усовершенствования учителей, газета «Сахалхо ганатлеба», журнал «Скола да цховреба» | Систематически |
| 4. | С целью улучшения материально-учебной базы: | | |
| а) | Разработать методические рекомендации для устройства учебных кабинетов истории-обществоведения. | Управление школ, школьный методический центр, научно-исследовательский институт педагогических наук им. Я. Гогебашвили | 1981—1983 годы |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| б) | **Изготовить и издать необходимые учебно-наглядные материалы по истории, обществоведению, основам Советского государства и права.** | Управление школ, Научно-исследовательский институт им. Я. Гогебашвили, Центральный институт усовершенствования учителей | 1980—1985 годы |
| | Мероприятия по подготовке кадров и повышению квалификации учителей истории, обществоведения, основ Советского государства и права: | Управление кадров совместно с соответствующим управлением Министерства высшего и среднего специального образования | 1980—1981 годы |
| 1. | Рост принимаемого контингента учителей истории-обществоведения на курсах усовершенствования учителей. | Управление кадров, Центральный институт усовершенствования учителей | 1980—1981 годы |
| 2. | Представление на переподготовительные курсы анкетных данных о лекторах для их утверждения в Министерстве просвещения. | Центральный институт усовершенствования учителей | Систематически |
| 3. | Создание сети опорных школ по обучению истории-обществоведения, основам Советского государства и права в районах (городах) республики. | Управление школ, отделы народного образования | 1980—1981 годы |
| | Мероприятия по совершенствованию учебных планов, программ и учебников: | | |
| 1. | С целью совершенствования программ по истории Грузии для IV-X классов. | Управление школ, Научно-исследовательский институт им. Я. Гогебашвили | 1980 год |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 2. | Подготовить новые дополнительные учебники по истории Грузии. | Совместно с соответствующими кафедрами вузов и Институтом истории Академии наук Грузинской ССР | 1981 год |
| 3. | Совершенствовать методический аппарат и иллюстрации действующих учебников по истории Грузии (авторы Ш. Месхиа, В. Гечуа). | Управление школ, Управление учебников и библиотечных фондов | 1981 год |
| 4. | Изготовить учебно-дидактические материалы, схемы, таблицы, диафильмы, диаграммы, диапозитивы, учебные фильмы. | Управление школ, Управление учебников и библиотечных фондов совместно с научно-исследовательским институтом им. Я. Гогебашвили | 1981 год |
| 5. | Подготовить и издать учебные карты и атласы (приложения к учебникам). | Управление школ, Методический центр учебников с Институтом истории ,этнографии и археологии | 1981 год |
| 6. | Подготовить программы по факультативному курсу на основании действующей программы. | Управление школ, школьный методический центр, Научно-исследовательский институт им. Я. Гогебашвили | 1982 год |
| 7. | Подготовить методические рекомендации для работы кружков истории Грузии. | Управление школ, школьный методический центр, Научно-исследовательский институт им. Я. Гогебашвили | 1981 год |
| 8. | Проверить уровень перевода и разработать вопросы эпизодических рассказов в учебнике истории СССР. | Управление школ, школьный методический центр Научно-исследовательский институт им. Я. Гогебашвили | 1980 год |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 9 | Разработать методические рекомендации к (VIII-X кл.) синхронному обучению истории Грузии, истории ССР. | Управление школ, школьный методический центр | 1980 год |
| 10. | Перевести унифицированные дополнительные учебники по истории СССР, истории древнего мира, истории средних веков, новой и новейшей истории. | Управление школ, учебно-методический центр совместно с Научно-исследовательским институтом им. Я. Гогебашвили | 1981—1982 годы |
| 11. | Перевести методический учебник по основам Советского государства и права. | » | » |
| 12. | Перевести и издать методический учебник для курса по обществоведению. | » | » |
| 13. | Подготовить и издать художественный альбом по истории Грузии. | Управление школ, Учебно-методический центр совместно с Научно-исследовательским институтом им. Я. Гогебашвили | 1981—1985 годы |
| 14. | Подготовить и издать атлас истории Грузии | с Институтом истории и археологии | |

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# РЕШЕНИЕ

## КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**О результатах проверки учебно-воспитательной работы, санитарно-гигиенического режима, питания и быта воспитанников школ-интернатов г. г. Зугдиди, Сухуми и Калдахвара**

**24 апреля 1980 года**

